



სახორცილო გაზეთი

გაზეთის ფასი:

გაზეთის თვილისში	გაზეთის წელიწადში:
— 3 მ. —	— 3 მ. —
— 2 მ. —	— 2 მ. —
— 1 მ. —	— 1 მ. —

— მან თვამისაჲ მადლით
 ძეგუქსეა წელიწადი
 გაზაფხის თვეში თარჯერ

სელინს მარტის 1873 წლის
 თველის ახალითა გაზეთის რედაქციის
 განტანაში, გ. წერეთლის და ახს. (დუბლინი)
 სტამბაში, ხნის ჟენს სე, ბუთოლის სსსკში
 თვილისის გარეშე მცხარეკუთათვის ადრესა
 ВЪ Тифлиса, въ контору редакцїи СЕЛЪ-
 СКОЙ ГАЗЕТЫ: при типографїи Г. Це-
 ретели и н°. (Дубелера).

№ 6 ოთხშაბათი 30 მარტი, 1873 წ.

შინაარსი

ახსნა ხანაგა დეპუტების. — სოფლის ხანაგა
 ბანკები. სამეცნიერო ნაწილი: — გეგა. —
 სამეცნიერო ნაწილი: ფურცლების მოკლე საფე-
 სურში. სექციონი ნაწილი: დაწესების მომსახურე,
 სექციონი ხმის წესი. — შუაგის წამლობა და
 სექციონი. საქართველო: — კორპორაციონის და
 სექციონი. კერძობითი განცხადებანი.

სხვა სდახვა დეპუტების *

მუხლი მექამე ვ. საბანკო ამხანაგო-
 ბაში მონაწილე, როგორც ვთქვით, სიფთხი-
 ლით უნდა მიიღონ; ესაა აქ უნდა ვთქვათ,
 უნდა იყოს ახალი მონაწილის მიმოღობი-
 რადგანაც სამხანაგო საქმეა ეს ბანკის
 საქმე, რასაკერძოდაც, ყველა მონაწილე უნდა
 იქნას ახალი ამხანაგის ამორჩევაში და
 მიღებაში; ამისთვის ახალი ამხანაგის მიღების-
 უფის ყველა ამხანაგები უნდა შეიყარონ
 ერთად, საყოველთაო, საზოგადო კრება უნდა
 მოახდინონ და ისე არჩიონ და მიიღონ ამხა-
 ნაგე. ეს მიღების უფლება სხვას არ უნდა
 მიეცენ ამხანაგებმა, ამიტომ რომ ბოლოს,
 განუზღვარი და ასარევე-დასარევი საქმე არ გა-
 რთიდეს. საბანკო ამხანაგობაში რომ რამდენ-
 ძე კაცს მიანდოს, ვინ იცის ის კაცები რო

გარის ამორჩევენ. ზოგჯერ იქნება უარიც
 უთხრან ამხანაგობაში შემოსულის მსურველსა
 და ზოგჯერ იქნება მიმხრობით ისეთიც მიი-
 ლან, რომ ამხანაგობისათვის საკეთილო არ
 გამოადგეს.

მმართველობის დებულებაში მოხსენებუ-
 ლია, რომ საყოველთაო კრებას, თუ უნდა,
 ნება აქვს, ამხანაგის მიღება რამდენსამე კაცს
 მიანდოს (რჩევა ჰქვიათ ამ კაცების კრე-
 ბას).

ეს გარემოება რუსეთის ვის კარგი იქნება,
 ამიტომ რომ იქაური სოფლები ერთმანერთს
 ძალიან დაშორებულია და საყოველთაო ამხა-
 ნაგების კრება ხშირად ვერ მოხერხდება. ჩვენ-
 ში რადგანაც სოფლები ახლოს არის და ამას
 გარდა ჩვენთვის რადგანაც უფრო ახალი საქ-
 მეა, ამისთვის უუქველად საჭიროა, რომ მიტე-
 ვილი ამხანაგობა შეიყაროს და ისე ამორჩიოს,
 ვისაც ამხანაგობაში შემოსულა. უნდა.

მუხლი მექამე ვ. ვისაც საბანკო
 ამხანაგობა არ ამორჩიეს, იმას შეუძლია ხელ-
 მყოფრთა სთხოვოს ამხანაგობას, რომ მიი-
 ლონ. მარტო ერთი გარემოება, რომ დაუ-
 შალოს მსურველს ამხანაგობაში შესვლა: ეს
 ის გარემოება, თუ მსურველი ამხანაგობაში
 ყოფილა და გამოსულა. მსურველის გამო-
 სვლა სამ გვაირი იქნება ყოფილიყო, ან თა-
 ვისის სურვილით გამოსულა, ან თავისი სამ-
 ხანაგო წლის ფული არ შეიტანა, ან საქუ-

თარი თავისი გადასახალი, ან სხვისთვის თავდე-
 ბობის ელი არ გადაუხდია. სხვა მიზეზი არა-
 ფერი არ უნდა იყოს ამხანაგობისაგან გამო-
 სვლისა და ანუ დათხოვნი. სხვა მიზეზი
 არა უნდა იყოს, ამიტომ რომ სხვა, მიზეზებს
 აღმაინი ვერ გამოარკვევს და ამიტომ ზეგის
 ლაპარაკს ასტეხს ხალხში, ვისაც რა მოსწონს
 იმას იტყვის და ვისაც საფერო აქვს იმის მო-
 საწონს იტყვის, თითონ ამისთანა საქმეზე ლა-
 პარაკი, რომ ვინ დაარღვია დებულებათა და
 ამხანაგობაში ვინ ცუდით მოიქცა, მუდამ
 ჩხუბსა და დავას გამოართავს. ამისათვის შე-
 მოხსენებულები სამი მიზეზი უნდა იყოს ამხა-
 ნაგის გასვლისა და დათხოვნისა. რა კი გას-
 ვლისა და დათხოვნის გარემოება ვთქვით,
 ხელმეორეთ შემოსულის პირობაც უნდა მო-
 ვისწოდოთ. ეს ამიტომ არის საჭირო, რომ,
 პირველად, ხშირად ამხანაგების გასვლა არ
 მოხდებოდეს და, მეორეთაც, რომ ყველა ამხა-
 ნაგა თავისი ვალდებულება წამდგომით
 ასრულოს. ეს ორივე საქმე იმ დონის-ძიებით
 ასრულდება, რომ ვინც დაინიშნოს, რომ ამ-
 დენის და ამდენის ხნის გასვლამდინ გასუ-
 ლის ამხანაგის ხელმეორეთ მიღება არ შეი-
 ძლებოდეს.

რასაკერძოდაც, რომ უნდა გავჩიროს ამხა-
 ნაგობამ, ვინ გავიდა თავისის სურვილით და
 ვინ დათხოვეს თავისი ვალდებულების აუსრუ-
 ლებლობისათვის. ვალდებულობის აუსრუ-

* თავი ნსუ მირველი ნომრადგან.

გ. მარტის ს. ს. ს. ს. ს.
 სახელმწიფო რესპუბლიკა
 ბეზუნიცა



ლებლობაც უნდა გაიჩინეს, ამხანაგი თავისი ჯერის წილის შეუტანელობისთვის დაუთხოვნიათ, თუ თავისის საკუთარის ვალის ანუ სხვისთვის თავდებობის ვალისათვის დაუთხოვნიათ; ესეები უნდა გაიჩინონ ხელმეორეთ აიღების დროსა.

ვინც თავისის სურვილით გავიდა ამხანაგობიდან, იმისათვის ერთი წელიწადი შეიძლება დაიდგას ვადათა, რომ არ შეიყვამონ ამხანაგობაში. ეს ამიტომ არის საჭირო რომ მაღმალ გასელო არ შეიძლოს ამხანაგებმა. მაღმალ გასელო ამხანაგებისა ძალიან აწენეს ბანკის საქმეს იმიით, რომ ბანკის საქმის ცოდნას კარგათ ვერ გაიგებს ამხანაგი, დღეს ერთი შემოვა ხელ მყოფე და ამით თავსა და ბოლოს ველარ გაიჩვენეს, საქმე აირევიდა ირევა, ამისაგან ერთმანერთში სამდღურაობა მოხდება და თითოობით კი არა, სულ ათათობით გამოვლენ. ამიტომ საჭიროა, რომ თითოეული ამხანაგი დარჩეს დიდხანს ამხანაგობაში და არა თუ ორიოდ-სამიოდ წელიწადი. ამისათვის საბანკო ამხანაგობამ გასულს ამხანაგს ხელმეორეთ შესვლა უნდა დაუფიანოს, რომ დაფასოს ბანკის სარგებლობა. ერთი წელიწადი ვადა საქმეა ახალად მიღებისათვის იმისთანა ამხანაგისა, რომელიც თავისის სურვილით გასულია.

ვინც კი ვალდებულობის აუსრულობისათვის დაუთხოვნიათ იმათის მიღებისათვის უფრო დიდი ვადა უნდა, ორი ან სამი წელიწადი ფგონებთ საქმეა იყოს. აქაც კი უნდა გაიჩინეს ვისაც თავისი წილის ფული არ შეუტანია და ამისთვის დაუთხოვნიათ, ეს იმ ამხანაგს მაინც არა ჰვავს, ვინც ვალა აიღოს და ვერ გადაიხდა; ამიტომ რომ წილის შეუტანელობით ამხანაგობის ბანკს მაინც ზიანი არ მოუვა და ვალის გადაუხდელობით; რასაკვირველია, ზიანია. ამისათვის ვინც წილის შეუტანელობისათვის დაუთხოვნიათ, იმის მიღება შეიძლება ერთის წილისა და ნახევრის შემდეგ.

დარჩენილები კი, ვისაც ან საკუთარი ვალი ან შეუტანია, ან სხვის ვალის თავდები ყო-

ფილა და თავდებობა არ აუსრულებია, იმათ ხელმეორეთ მიღება ორ-სამ წელიწადზე ადრე არა სჯობს.


ზეტრე უმეგაშვილი.
(შემდეგი აწესა).

სოფლის საემხნაგო ბანკში

ჩვენს ოჯახობას და მიწის მუშაობას ძალიან გაჭირება ადგას იმითი, რომ ოჯახისა და მიწის მეპატრონეებს ფული არა აქვთ და როცა სჭირდებათ, მაშინ ვერ შოულობენ. აღებმიცემა და მოხელობა ჩვენს გლეხებს არას არავით იმიტომ, რომ სამოხელო მასალა რომ აიღონ, მერე რასაც გადაკეთებენ, იმით უნდა იხადონ ვალი ნისიან ნაყიდ მასალაში და ამის გამო თავისივე ნაკეთები ქონელი ისე ძვირათ უჯდებათ, რომ მოხელობა და აღებმიცემა ახლა ვერც კი დაუწყიათ. რადგან გლეხებს ფული არა აქვთ, რომ თავის დროზე სახელმწიფო გადასახადი შეიტანონ ხოლმე, ამისთვის ისინი ვერ იციან და თავის ჭირაბულს, ორი მანეთის საღირაოს, ხშირად ორ აბაზათ ჰყიდიან. აი, ამ მიზეზით მრავალი იმათგანი მიდის ფულის მეპატრონისთან და ურიგდება სამუშაოთ სულ იაფად, ოღონდ კი ბეთ რამდენიმე მანეთი მიიღოს ამ თავით. აგლეხს რომ შეძლებოდა სადმე ფულის შოვნა, ის მოუტლიდა კარგს მახანდას, როცა პურს კარგი ფასი დაედებოდა, არ შეურიგდებოდა მეპატრონეს ისე იაფად, როგორც მაშინ, როცა იმის ფული ძალიან სჭირია, და თავის დროზე ჭირაბულის გასყიდვით, ან კარგ ფასთ შერიგებულ მუშაობით, არამც თუ გადაიხდიდა ნასესხებ ფულის სარგებელს, თვითონაც კარგი მოგება დარჩებოდა. ვერც იმას ვიტყვით, რომ გლეხი გაჭირვებაზე ფულს ვერ შოულობდეს, ვაჭრები და ზოგიერთი ფულიანი კაცები სოფელში ასესხებდნ ხოლმე იმას, მაგრამ ისეთ პირობებს დაუდებენ, რომ შეელის მაგიერად ხშირად სრულებით

ლუბას იმის ოჯახობას. რუსეთში ბევრგან სამაზრო და სათემო ხაზინები შეგროვებული, მაგრამ ისინი დიდი ხანია, დაცლიერებული არიან, ფული სულ ერთიანთ გაუცრით სარგებელზე და ახლა იქიდგან ველარაინ სესხულობს. სათემო ფული კიდევ რომ იყოს, იმის სასესხებლათ მამახანლის ცოტა რომ პირზე უნდა მოსცხო, თემი უნდა დაპატიყო, მწერალსაც რამე უნდა მოსცე, ასე რომ ცოტა სარგებლითაც რომ აიღო, ეს ფული მაინც ბევრათ ჯდება.

ამისთანა გაჭირებისაგან რომ გლეხი და იმისი სახლკარი დაიხსნან, ახლა მოიგონეს ამხანაგობით ფულის შეგროვება, რომ იქიდგან ყოველს გაჭირებულს გლეხს ცოტა სარგებელით და უფროათ მიეცეს სესხი. ამისთანა ხაზინებს ენახიან სოფლის სამაზნაგო ბანკებს. ამ სამაზნაგო ბანკებში, სესხის მიცემის გარდა, ვისაც თითო-ორიოლა კაპეკო მოუჭროვებია, იმასაც მიიღებენ შესანახავთ და ამ შესანახავ ფულშიაც სარგებელს აძლევენ ფულის მეპატრონეს, გლეხსაც სესხების გარდა, თითო ოროლა კაპეკით მოპოვებული ფულის შესანახაც უნდა შევიღისთვის. და ვინაც მოამგობისთვის ზრუნავს, ის უტყველად კიდევ უნდა ინახავდეს. უსარგებლოთ ამ მოგროვებული ფულის შინ შესანახა რას არავია და სამიშოც არის, რომ არაინ მოპაროს. ამისთვის ზოგიერთი გლეხი ჰყრიდა ქოთანში ფულებს და ჩაფლავდა სადმე მიწაში. მართალია, იქნება ვერაინის მიეგნო აქ ფული, მაგრამ იმის პატრონსაც არაფრათ არ არგოდა, გინდ ყოფილიყო გინდ არა, სულ ერთი იყო იმისთვის და თუ იმის პატრონი უტებათ მოკვდებოდა და ვერ მიაწერებდა იმის თქმასაც, სად ქონდა ფულები ჩამარხული, მაშინ ფული საშეობი შევილობათაც დაკარგული იყო. სოფელში რომ სამაზნაგო თავნი მოგროვდეს, ყოველს კაცს შეუძლიან იქ შეიტანოს, მისცეს შესანახავთ თავისი მონაგარი, რაც უნდა ბევრი იყოს ან ცოტა: ორ-შაბრობით, მანეთობით ან მეტიც, და ამხანაგობა ამაში აძლევს სარ-



გებელს ისე, თითქოს იმათგან ეს ფულს სესხნას. ამისთანა შესანახ ფულისათვის საამხანაგო ბანკიდან ეძლევა ფულის მებატონის წიგნი, რომელშიაც სწერია, მებატონის გარდა იმ წიგნით ფული სხვას არავის მიეცეს. ამ სახით, ვისაც მიუცია თავის მხანაგარი ფული საამხანაგო ბანკში, ის იღებს სარგებელს, რომელიც შეუძლია უზრუნველად ხარჯოს, ან იქვე ხაზინაში თავის ფულსავე მიუმატოს და ამასთანავე დაიმედებულიც არის, რომ იმის ფულს ვერც არავინ მოიპარავს და არც დაიკარგება. მაგალითად, გლეხმა რომ ხუთი მანეთი გადინარჩუნოს და შინ შეინახოს ერთი წლის განმავლობაში, მანც ხუთი მანეთი ექნება, მეტი არა, და საამხანაგო ხაზინაში რომ მისცეს შესანახად, წლის გასულს ამ ხუთს მანეთს გარდა ხუთი შაური კადეც სხვა მიემატება. მამ საამხანაგო ბანკის შედგენა იმისთვისაც საქირაა, ვისაც ფული სჭირდება სასესხებელათ და ვისაც ფული მოუფროვებია და უნდა სადმე საიმედო ალვას მისცეს სასარგებლოთ.

როგორ უნდა გაიმართოს ამისთანა საამხანაგო ბანკი?

სულ ადვილია იმისი გამართვა. რამდენიმე კაცი, კარგი მეზობლები შეგროვდებიან ერთთ, პირს მისცემენ ერთმანეთს, ფული გამოიღონ და თუ ვინცაა ამ ფულის სარგებლობაში იზარალონ, ყველამ ზღოს, ან თუ ერთი ვინმე იმათგანში გაუცუდდეს, სხვებმა იკისროს იმის ზარალი; ასე რომ თითოეული იყოს ყველას მოპასუხე და ყველა თითოეულისა. ამ სახით ზურგი ზურგზე მოხმული ამხანაგობა ხდება საამხანაგო ბანკის დედა-ბოძათ. ამგვარად ერთად შეკრული და შემტკიცებული ამხანაგობა ადვილად მოულობს ფულს სასესხებელათ; ვერც არავინ დაუჭერს, რადგან ვინც ერთ კაცს არ ეწოდება, ის ოცსა და ორმოც კაცს, ერთი მეორის მოპასუხეს არაოდეს არ დაუჭერს სასესხებელს ფულსა. ამ სახით, როცა ერთი სოფლის გლეხები პატიოსანი ყოფაქცევით,

შეკრუნ პირს, შეადგენენ გამოვებით საერთო ფულს ანუ თავნეს, თითოეულს შეაქვს იმდენი, რამდენსაც სხვა აძლევს და ამ შეგროვილ ფულადან აძლევენ სესხს. მაგრამ ჩვენ ეთქვით, რომ საამხანაგო ბანკი ღარიბ და ზღმომაკლე კაცებისაგან კეთდება, მამ იმათგან მოგროვებული ფული ბევრი არა იქნება. რა პირველში და სარგებლობას მაგდენს არას მისცემს, ამისთვის, თავის ფულს გარდა, ამხანაგობა სესხულობს ან კერძო პირისაგან, ან ქალაქის ბანკისაგან, ან ხაზინისაგან საქირა ფულსა და იწყებს იმითი მოქმედებას. რადგან ყოველ სესხში ამხანაგობა საერთოდ აძლევს პასუხს მთელი თავისი ყოფა-ცხოვრებით და ქონებით, ამისთვის ამხანაგათ იმისთანა კაცები უნდა მიიღონ, რომელთაც მთელი ამხანაგობა იცნობს, და ყველა კისრულობს იმის ვალს. ამისთვის ყოველს მსურველს ამხანაგათ გაუხდლო, არ შეუძლია ამხანაგათ იყოს, თუ საამხანაგო ბანკის ამხანაგები არ ამოირჩევენ. ახალის ამხანაგის მისაღებათ ყველა ამხანაგები, ანუ წევრები კენჭს ყრიან და ყოველგან ძალიან ფთხილათ არიან ამხანაგის, ანუ წევრის ამორჩევაზე. ზოგჯერ ორმოცდაათს კაცში, რომელთაც ჰსურთ ამხანაგობა ანუ წევრობა, მხოლოდ ათს თუ ამოირჩევენ მეტს არა. ლოთი და ზარმაცი კაცი მის ღღეში ვერ გახდება ამხანაგობის წევრათ. ისინი ჯერ უნდა გასწორდნენ, მოიქცნენ, დაუმტკიცონ ამხანაგობას თავისი კეთილი ზნეობა და პატიოსნება, მერე კი მიიღებენ. როგორც კი მიიღებენ ახალ ამხანაგს, იმან მაშინვე მონაწილეობა უნდა მიიღოს საერთოთ თავისი შედგენაში, უნდა შეიტანოს თავისი წილი ხაზინაში. ამ წილს ეტყვიან საამხანაგო, ან საწევრო წილს, თუ წევრს იმდენი ფული არა აქვს, შეუძლიან ცოტ-ცოტათ შეიტანოს. მომეტებულ ნაწილს ამხანაგობაში საწევრო წილათ არის დანიშნული ხუთი თუმანი და ამ ფულის შესაღვენათ გლეხმა სამი შაური უნდა იხალოს თევში, ან ოთხ თევში სამი აბაში; ამისთანა ცოტა გადასახადი რომ ამ გადაიხალოს, ისე-

თი გლეხი როგორ იქნება. მართლაც რომ ვინმე ამ ცოტა გადასახადშიაც უპირა გამოჩნდეს, ის როგორღა უნდა იყოს შესარევი ამხანაგობაში! რა იმედი უნდა ჰქონდეს ვერ მოაგროვოს? ამისთანა ცოტა გადასახადი ყველასთვის ადვილი შემოსატანია და თუ გამოჩნდა ისეთი, რომ ესეც ვეღარ შამოიტანა, ის გამოირჩეება ამხანაგობისაგან, როგორც უიმედო და უთავებოლო კაცი და შესაძლებელია, რომ ხელ-ახლათ მიიღონ ერთი წლის ან ორი წლის შემდეგ. საწევრო წილი ყოველი ამხანაგის, ან წევრის საკუთრებაა და თუ გამოვიდა, სრულად დაუბრუნდება. სიკვდილის შემდეგ წევრს შეუძლიან, ვისაც უნდა, იმას უანდერძოს. ყოველს წევრს, როცა უნდა, მაშინ გამოევა ამხანაგობისაგან; გამოსვლის დროს ის მიიღებს თავის საწევრო წილს და სარგებელს, რამოდენიც თავის საწევრო წილში ერგება. მაგრამ საწევრო წილი ერთს წელიწადზე ადრე არ მიეცემა ამხანაგს იმის შემდეგ, რაც გამოასულა. ამხანაგს, ან წევრს ნება აქვს უფირაოთ მიიღოს იმის წილის ერთ ნახევრის ოდენი ფული და თუ მეტი უნდა, მაშინ თავედები უნდა იშოვნოს. ამ შემთხვევაში იმას შეუძლიან სამი თავის წილის ოდენიც გამოიტანოს სესხათ.

(გაგრძელება იქნება).

სამეცნიერო ნაწილი

გამეღ

აქამდის მეცნიერებს ვერაუხსნიათ, თუ არცელიტებს მოახდენს ხოლმე გველის გესლი სისხლში, რომ ის აღარ ვარგა ცხოველის სიმრთელისათვის და ცხოველი ან კედება იმისაგან ან არა და ღიღს აუათმყოფობას გამოივლის. ამას გარდა ბევრია ისეთი ცხოველი, რომ გველის გესლი იმათ სისხლზე არ მოქმედებს; მაგალითად, მომეტებული ნაწილი იმცხოველებისა, რომელთაც ცივი სისხლი უღდათ ტანში მაყავი ეარო, თუ თევზი,



მლოკვი და სხვა. მაგრამ ამათში თვითონ გვე
 ლები და ზელოები კი კვდებიან გველის გეს-
 ლითა, თუმცა ისინი ცნე სისხლიანები არიან,
 ამბობენ, რომელთაც თბილი სისხლი აქვთ,
 იმათზე გველის სისხლი მომაკვლინებელათ
 მოქმედებს. მაგრამ არის ისეთი თბილ სის-
 ხლიანი ცხოველი, როგორც მაგალითად ბუძ-
 გვი, ან თხუნველა (მულუ), რომელთაზედაც
 გველის გესლი არ მოქმედებს და რაც უნდა
 ბევრი უკინოა გველმა, რომელსაც ბუძგი
 არ გაუცდის, თუ შეხვდა, მაშინვე შესჭამს,
 თვითონ ბუძგზე კი არ მოქმედებს. ამბობენ,
 გველის გესლი ერთბაშათ სცელის სისხლის
 თვისებას. იმის შემდეგ სისხლი აღარ დაი-
 კეთება, გაწყალდება და სხვა. გველის ნაკ-
 ბენი სწორათ ნეშის ნაჩვეუტსა ჰვავს. ცო-
 ტათ ვეფუტება, ზოგჯერ ამბობენ, რომელიც
 ძალიან შხამიანი გველია, იმის ნაკბენისაგან
 იმ ალაგებზე საცა ნაკბენია ისე დასივდება,
 რომ ზნე უნდება. ამას გარდა გველის ნაკ-
 ბენის შემდეგ ცხოველსა და კაცს უნდება
 ტანში საშინელი ცივება, ისე რომ ზოგჯერ
 გულიც წაუვა და ცონება ეკარება. ყველა
 ზნე უფრო ხშირათ გველი ღორებსა ჰკბენს,
 მაგრამ რადგან იმათ ხქელი ტყუი აქვთ და
 ხქელი ქონა აკრავთ გარშემო, რომელ-
 შიაც სისხლის მასრები ძალიან ცოტა არის,
 ამისთვის ნაკბენი ხშირათ სისხლში ვერ უწევს
 და ამისთვის გველის ნაკბენი ღორს ტყუ-
 ლათ გაუვლის.

როცა გველს უნდა კბენა, ის ძალიან ღრმით
 გააღებს პირს, უცბათ ააღრს თავს და ერთი
 თვალის დახამხამებაში დაჰკრავს თავს კვერ-
 საებით თავის მსხვირპლს და ჩასაობს ან ორს
 ან ერთს კბილს. ამ შემთხვევაში მოქმედებს
 მხოლოდ ზედა ყბა, ქვედა ყბა კი არაერთარს
 მონაწილეობას არ იღებს. პირველს კბენაზე
 კაცი სულ არ გრძნობს ტკივილს; მხოლოდ
 მგოთხედ საათს შემდეგ ნაკბენი უწითლდებ-
 ბა, უსივდება და თითქოს შემდება ის ნაწი-
 ლი ტანისა, რომელზედაც გველს უკბენია.
 შემდეგ თვითონ ნაკბენი ალაგი როგორც
 მოკისნენით დაწითლდება, დასივდება მთე-

ლი ის წვერი ტანისა, რომეზედაც გველს
 უკბენი, მერე თვითონ ნაკბენი დაიცხდებ-
 ბა, აზნინდება და მერე დაღურჯდება. მაშინ
 ტკივილიც განდება, ათამყარეს წამისწამს
 გული მისდის, პირიდან საქობა მოუნდება;
 მძიმეთსუნთქავს, სტამაკში ტკივილს გრძნობს
 და ცოტათ კიდევ დაუსივდება კუკი. გული
 ჩქარა დაუწყებს ცემას, ავთამყოფი თრთის
 და ცივი ოფლი მოსდის. თვალები უწითლ-
 დება და ცრემლები ჩამოსდის, ზოგჯერ თირ-
 კმელები ასტიკა და შარღზედაც ევლარ და-
 დის რიგიათ. ორ დღეს იქით ნიწნები
 თან და თან ნელდება, ოფლი მომეტებული
 მოსდის და თუ ბევრი გესლი არ ჩასხვია ტან-
 ში სრულებით განთავსიუფლდება. ბევრია მა-
 გალითი, რომ ნაკბენს შემდეგ რომ კაცი
 მოჩჩენილა, ორი თვის გინმავლობაში მა-
 ინც ჰგინობს კაცი და დიდხანს არ მოჩჩე-
 ნია ის ალაგი, რომელზედაც გველს უკ-
 ბენია.

რადგან გველის გესლი მხოლოდ მაშინ
 მოქმედებს, როცა სისხლში ჩავა, ამისთვის
 ყოველნაირი წამლობა გველის ნაკბენისა
 იმაში უნდა მდგომარეობდეს, რომ კაცმა გეს-
 ლი სისხლში არ ჩაუშვას და არ მოაწამლი-
 ნოს მთელი ტანი. თუ პირში დაფხაწული
 ან იარა ანა გვაქვს, ნაკბენი ალაგი უნდა ამო-
 წაწურა პირით; თუ მაინცა და მაინც ამო-
 წაწურული შხამი პირში გადაცდა, ფიქრი არა
 აქვს. პირით ამოწაწურის მაგიერათ ნაკბენი
 ალაგზე თუ შეიძლება კვატუმს დაეკრავთ,
 რომელიც თავისით ამოწაწურის სისხლს და ფს-
 კიდევაც ეძვრებინება. თუ ან ხელს ან ვე-
 ზზე უკბინა კაცს გველმა, მაშინვე ნაკბენს შე-
 ვით ლვევითობი მაგრათ უნდა შემოიკრას,
 რომ მოწამლული სისხლი ტანში არ გაე-
 დეს და მთელი ტანი არ მოწამლოს.

აგრეთვე სასარებლოა ნაკბენი ალაგი რომ
 ნეშტით გააგანებრო და მერე გამოწურა:
 თუ დაწვევ კარგა რიგიათ ნაკბენს, ის კი-
 დევ უკეთესი, მაგრამ ყველა ამგვარი საშუა-
 ლება უცბა უნდა მოახდინოს კაცმა, რომ
 გვიან არ იყოს, რადგან სისხლი ტანში ძალიან

ჩქარა დარბის და თუ უცბა არ მოახდინებ
 საქმე, რალი შხამი ტანში გაიფანტება. მერე
 ამასთან წამლობა აღარას არკებს.

ყველაზე უფრო საშიში ცხოველისა და
 კაცისთვის არის კისერში კბენა გველისაგან,
 რადგან აქ ცელიც მხოლოა და თუ ყელი გა-
 უსივდა კიდევ მოახრჩობს კაცს. წერილმანი
 ცხოველები როგორც კი დანახავენ გველს
 ისე შეეშინდებიან; რომ თავზარი დაეცემა
 და თითქმის თავისით ჩაურადებიან ხახამში
 საკბენათ. არის ერთგვარი ფრინველი, გველი
 ჰამია, რომელიც ძალიან კარგათ არჩევს შხა-
 მინას და უშხამო გველს. პირველს რომ შეხ-
 ვდება პირდაპირ თავში დასცემს ნისკარტსა
 და ერთბაშათ მოჰკლავს, უშხამო გველს კი
 მაგდენათ არ უფრთხილდება, საცა მოხედუ-
 ბა, იქ კარტნის.

ჩვენ ახლა ვიცით, რომ გესლიანი გველი
 მაგდენათ საშიში არ არის და უსაცა შეხედუ-
 ბა, ყოველთვის მარდი ჯოხნი რომ დაკრას
 თავში მოკვდება.

საკუთრება ნაწილი

ფუტკრებმა მოვლა საფხულში

გაზაფხულზე მფუტკრეს დასკიდება ხოლ-
 მე ნაკრული სკების შეესება, ზოგი იხსოვება
 ზოგს შემოდგომაზე განზრახ ხოცვენ, რომ
 თაფლი ამოიღონ და დაცოტავებულ სკების
 ფუტკრების გამჩაღებისათვის სხვა და სხვა
 სკის ფუტკრები უნდა შეაერთონ ერთათ; ამის-
 თვის მფუტკრემ უნდა იცოდეს იმათი შეერ-
 თება იმ ნაირათ, რომ ფუტკრებმა ერთმანეთი
 ვერ დახოცონ.

ყოველ ვეგარის ფუტკრები ვერ შეერთდებ-
 ბიან ერთად: ისინი თუ ერთგვარი დღეობის
 ნაშენები არ არიან, ვერ მოწყობიან და მუ-
 დამ ჩხუბობენ ერთმანეთში. რომელ ფუტკ-
 რებსაც დღეები ნაყოფიერი ჰყავთ და კვერცხ-
 ბით ან ახალმოზარდი თაობა მოამილია,
 ისინი ვერ ეწყობიან ერთმანეთთან იმისთანა
 ფუტკრების რაზმთან, რომელთაც ჯერ კიდევ
 ახალგაზდა და უნაყოფო დედა ჰყავთ. ამათ
 რომ ერთმანეთი ნახონ, როგორც ერთმანეთ



თის შტერები, შეერთებებიან და ხალციხე ერთ-
მანეთს. ამის შენიშვნა ადვილია თუ შეაერთებენ
ოპოსტს სამს ფუტკრის რაზმს, რომელთაგანაც
ერთი რაზმი უფრო მოძველდა იმათი დედა ხნიერია,
ბევრი შთამომავლობის პატრონია; მეორე კვერცხებიცა ჰქონდა
მისაყვანი; და თუ მეორე და მესამე რაზმებს
ახალგაზრდა ჯერ კიდევ უშვილოდ და დედები
ჰყავს; იმათში ისეთი ცხარი ბრძოლა ატყდებოდა,
რომ ბოლოს ამ რაზმებისაგან ცოტად
დენი თუ და დარჩება, მეტი აღარ. ფუტკრები,
რომელთაც ერთი ხნის დედები ჰყავთ, ისინი
არაოდნენ არ ჩხუბობენ, თუნდა ათი რაზმიც
რომ ერთად შეაერთო, რადგან იმათ ერთგვარი
ჯერ კიდევ გაუნაყოფიერებელი დედები ჰყავთ.
ამ საზოგადოებრივი დედების პატრონის
ფუტკრის რაზმებს, თუ ძველ დედებისაგან
ფუტკრებს შეუერთებენ, ისინი არ წაიკითხებიან
და თუ ვინცინაა, უკმაყოფილება გამოაცხადებს
ერთმანეთში, რაიცა იშვიათად მოხდება,
ცოტა კომლი რომ უჩხროლო, მაშინვე
დაშორდებიან. მაგრამ თუ ძველ დედების
ფუტკრებს ახალი დედების რაზმები მივყავთ
იმათ მორიგებას არა გაეწყობა რა. მაშინვე
ერთმანეთს ჩხუბს დაუწყებენ.

ახალ მოზარდ ფუტკრის რაზმებს თავიანთ დედებიან
რომ მივყავით ახალმოზარდ ფუტკრებს,
ისინი ერთმანეთს ხმას არ გასცემენ,
იცნობენ და ერთად დაიწყებენ შრომას;
მაგრამ ახალ მოზარდ ფუტკრებს, რომ ძველი
თაობის ფუტკრები შეერთო, მაშინვე
დაჰკბენენ ერთმანეთს და დახოცვენ. მაგრამ
ეს წესიც რომ იცოდნენ მეფუტკრეებ, მინაც
ძნელათ გამოარჩიეს, რომელია ძველი და ახალი
ფუტკრების რაზმები, შეერთება კი უკლებლიათ
უნდა მოხდეს სხვა და სხვა სკვებისა, რომ
ისინი სულ არ დაკლიდნენ; ამისთვის
მეფუტკრემ უნდა შეურიოს ერთმანეთში სხვა
და სხვა სკვის ფუტკრები ან დაელოდოს
და ან შეარჩიოს დროს კომლი უნდა ჩხროლოს.

დამით ფუტკრების შეერთება. ფუტკრებს
თუ ჰყავს, რომ სხვა და სხვა გე-

რი დედის ფუტკრები ერთად მოთავსდნენ,
როცა კარგა დღეა, ასე რომ ძირს დავარდნილი
ჩხარი აღარ ხმანს, მაშინ შეაერთებენ
რამდენიმე სკვის ფუტკრებს ერთად. მეორე
დღეს ნახვ, რომ ფუტკრები ძველი და ახალი
დედებისა მყოფროთ არიან და ერთად
მუშაობენ. ვინცინაა რომ იმათში დამითვე
ჩხუბი არ მოხდეს, კარგი იქნება, ცოტა
კომლი აუბოლოს მეფუტკრემ გასამარებელს
სკვას, რომ ძველმა დედამ ალაგი იცვალოს
ეცეტი ჩავიდეს ისეთი სკვულოში, სადაც
კომლი ვერ უწყეს და დამევი შეყრილ
ფუტკრებში ახალი დედები არ შეიხვედროს
და არ დახოცოს. ვთქვით ისე ვედიამა,
რომ კაცი ვეღარას ხედავს და ბევრი სკვები
სხვა და სხვა რაზმის ფუტკრებით შესავსები,
მაშინ შეიძლება ფარანაც იხმაროს, მხოლოდ
ძალიან ახლოს სკვთან არ უნდა დადგა,
რომ სინათლენ ფუტკრები არ მოგროვდნენ
და არ ასტეონ ჩხუბი ახალ მეზობლებთან.

ერთი სკვიდან მეორეში ფუტკრების გადასხმა
ადვილია: რომელს სკვიში გადასხმა უნდათ,
იმას დადებენ ან სკვამზე, ან განიერს
როფენ თუ გობზე; მეორე მეორე სკვს
მოხდიან თავს და დაეუფლებენ პირველ
სკვზე, მაშინვე მეორე სკვიდან ყველა
ფუტკრები ჩასცივა სკვამზე დაეუფლებულ
თავანდოლ სკვზე, დანარჩენი რაც გობზე
დასცივია, ისინიც მეორე სკვში შეფრინდებიან.
ზოგჯერ ღარსაც ხმარობენ ფუტკრის გადასხმით
მეორე სკვში. ღარს მომართვენ პირველ
სკვის თავზე წაწარავენ და ვერც მეორე
სკვის ფუტკრებს გამოარჩვენ ამ ღარზე, საი-
დანაც შეფრინდებიან მეორე სკვში. იმისთანა
სკვი ფუტკრის შერევა, რომელიც ძალიან
მალა არის მოწყობილი მხოლოდ ამ ღარის
საშუალებით მოხდება; თუ შემოსწენ-
ბული მოწყობილობა არა აქვს მეფუტკრეს,
შეუძლიან უბრალო ბრტყელი ფეცარი მიაკრას
თავანდოლ სკვის პირზე. ამანვე დარეკოს
მეორე კოდი, ან განიერი ტილო მიკრას და
ხელ დაფნთოსს ფუტკრის კოდი, მა-

შინაც უსათუოდ გადიფნთება მეორე კოდში,
რომ ფუტკრები იქითაქით არ გადაიფნტ-
გადმოფნტოს, კოდიდან დიდი განიერი კო-
დით გამოყრია მეორე კოდში ფუტკრებს და
დანარჩენებს შემდეგ გამოფნთებენ. ყველაზე
უფრო ადვილია უპირო, ან უფსკვრო ფუტკრის
კოდში შეყრა. ამისთვის ამოთხრიან მიწაზე
ხაროს იმ სივანეს, რომ კარგათ მოხდით
ნესეჩ ჩაეტიოს; მეორე ხელ დადებენ იმ
კოდს, რომელიდანაც ფუტკრების გამოარეკა
უნდათ, შემოაკრენ გვერდზე მუჭს, როცა
სულ გამოცივა ხაროში ფუტკრები, მეორე
სიჩქარით დადებენ ხაროს უძირა სკვს,
რომელშიაც უნდათ ფუტკრების გადაყვანა,
ცოტა ხანს იქით ერთი ფუტკარიც აღარ
დარჩება ხაროში, ყველა უპირო სკვში
შეფრინდება. ხაროს საშუალებით ყველაზე
უფრო ადვილია ერთი სკვიდან მეორე
სკვიში ფუტკრების გადაყრა; მაგრამ ვინცინაა,
თუ ამიდი ცუდი დადგა, ან წვიმა მოვიდა,
მაშინ ხაროებში ჩაყრილი სკვები დაიწუნ-
ვიან და სკვიმ ვეღარ ავლენ. მაშინ ათ, რო-
გორ უნდა მოქცეს მეფუტკრე.

საფუტკრე კოდი უნდა მიუღება მიწაში ჩასობილ
სარს და ზევიდან დაადგას უძირა სკვიში
სულ ერთიანად შეეღწენ ფუტკრები. როგორც
უნდა გადაიყვანოს კაცმა ფუტკრები ერთი
კოდიდან მეორე კოდში, სულ ერთია, მაგრამ
იმ დამითვე კი უნდა დახედოს, რომ გადასული
ფუტკრები თავიანთ დედებიანა ცალკე
არ დაეუფლებულიყვნენ და ამრიგათ მეორე
დიდამდის არ დარჩენ, თორემ შემდეგ
შეიძლება ორი სხვა და სხვა გვირის
რაზმები დღისით ერთმანეთს ეტაკონ და
ამოხოცონ, ამ შემთხვევაში ისინი თუნდა
დღისით გადაგვსნას ერთი სკვიდან მეორეში,
ამისთვის როცა ერთი სკვიდან მეორეში
დავალენ ფუტკრები, მეორე ფარსით უნდა
დათავლიდნენ: თუ ცალკე ხედავ, ან ჯოხით
ან ზატის ფრთით უნდა შეანძროს, რომ
ახალ გასულეში, ბუდეებში შევიდნენ და
ძველ ფუტკრებთან ერთად დაბინავდნენ.
დღისით გადასხმა ერთი სკვიდან მეორე სკ-



ში მხოლოდ ერთი გვარის ფუტკრების შეიძლება; ეს იგი ან ძველი მოშენებული დედნებიანი ფუტკრის რაზმებისა, ან ახალი თარბის რაზმებისა ერთმანეთთან; მაგრამ მამონაც სწორად მოხდება, რომ ბევრი ფუტკრები გაიფანტებიან და ისე უწინდელს სკაში ჩაიბნელებენ. როგორც ერთგვარი რაზმებისა ისე სხვა და სხვა გვარის შეერთება დამით სჯობია ვინამც დღისით.

ფუტკრების შეერთება კომდის ბოლებით.

როგორც ზემოთ ითქვა, ყოველ შემთხვევაში ფუტკრების შეერთება დღისაზე დამით სჯობია; მაგრამ ბევრია ისეთი მეფუტკრე, რომელსაც დამით ეზარება საქმის კეთება და ფუტკრების თვალყურის დევნება; მაშინ იმან დღისით შეუერთოს ერთმანეთში ფუტკრები, მაგრამ ეცადოს, რომ მზის ჩასვლამდის მანც ნუ დაიწყებს ერთი სკიდგან მეორე სკაში ფუტკრების გადაყენას. მაშინ გადასწას, მაგრამ როგორც შენიშნავს, რომ სხვა და სხვა გვარის ფუტკრები ერთმანეთს ეტაკენ. მაშინ ქათანში უნდა ჩაღო მათდის ნაკლებჯგუფი, ცეცხლი მოუქიდოს და უხრჩოლოს ერთმანეთში შეჩერულს ფუტკრებს, მაგრამ ეცადოს კი, რომ ბევრი კომლი არ მოუფიდეს, თორემ ფუტკრები გამოიხრჩობიან. ჩხუბის შენიშვნა ადვილია, თუ ძირს ფუტკრები ერთმანეთს ეტაკენ და ზეით თაფლის ზუღეებიდან ძირს დაკბენილი და მკვლარი ფუტკრები სცივია, მაშინ უნდა იცოდეს, რომ რაზმები ჩხუბობენ და იმავე წამს შალის კომლი უნდა უხრჩოლო. შეიძლება უკომლოთაც გაცეთდეს საქმე. მხოლოდ მეორე სკაში გადასაყენას ფუტკრებს წყალნარევი თაფლი უნდა ასხურო, უნდა გაუწუნწო კარგათ ისინი და მერე შეუშვა ძველ სკაში; მაშინვე ძველი სკის ფუტკრები ეცემიან და კბენის მაგიერათ ლოკვას დაუწყებენ ახალ მოსულ ფუტკრებსა და შერიგდებიან. მაგრამ თერთონ სკის კოდებს კიარ უნდა მოაცხო ეს თაფლი, თორემ სხვა სკებიდან სულ იქ შეფრინდებიან თაფლის შესაქმელად.

საკეძმა ნაწილი.

დამწვარი მობჩენა.

ავთმყოფი უნდა დაწვეს ქვესაგებში, დამწვარ ალაგებზე წმინდა საცერში გაცრილს პურის ფქვილს მოაყრიან, მერე ზედ ტილოს შემოახევენ დახურვენ საბანს. დამწვარი ალაგები არამცა და არამც არ უნდა მოიფხანოს, არ ისრისოს. ფქვილი მაშინვე დაუამებს ნატკენებს; თუ ტკივილი ისევე აუტყდა, უნდა გადახადო ტილო და ხელმეორეთ უნდა მოაყარო ფქვილი, უწინდელი მოყრილი ფქვილი არ უნდა მოწმინდო და ამნარათ უნდა გააგებლო წამლობა რამდენიმე კვირას; მერე ფქვილში უნდა შეურთო წმინდა უმარული ტყეისა ჯერ ერთი მეოთხედი ფქვილისა, მერე იმის ნახევარი და ცოტახანს იქით ფქვილის მაგიერათ სულ მარტო ტყეის უზარითი უნდა მოაყარო, დამწვარს ალაგებს ცივი წყლითაც არჩენენ, სანამდის ავთმყოფი უკეთ არ შეიქნება მანამდის ცივი წყლით ავირღებენ დამწვარს ალაგებს. დამწვარს ალაგს ჩაღებენ ცივ წყალში და დიდხანს გააჩერებენ.

გაცვივებით ხმის წასვლა. ვისაც გაცივებით ხმა წასვლია, იმის მოსარჩენათ უნდა აიღოს ორი მუჭი მალინა, ორი სტრელის კოვზი თაფლი, ორი სტრელის კოვზი ზეთუნის ზეთი, დაფხენილი იმბირი (ავთი-აკში იკითხე) ერთი ჩაის კოვზი, აურიეთ ერთმანეთში, დაასხით ზედ ერთი ბოთლი წყალ გარეული ბიფო და ქათანში მოხარშეთ. მერე ეს წამალი დლით და საღამოთი თითო ჩაის კოვზი უნდა დალიო. ამასთანავე ზოგიერთი საქმელი უნდა დათმო: მაგარი ხორცეული არ უნდა ჰქონ, ნურც ღვინოს დაღვე და არც უნდა შეიციფო. ეს წამალი ყელის ავთმყოფობასაც უხდება.

ხველები წამალი. სტაფილა გაფუტკნეთ, მოხარშეთ, გამოწურეთ, ჩაყარეთ ამ წვენში შაქარი, მერე ჩაასხით თეთრი თაფ

ლი და სულ ერთიანათ ააღულეთ და მერე დღე და ღამეში ხუთი სტრელის კოვზი დააღვენიეთ. ამისთანა მურაბა შეიძლება პურზედაც დააცხო და ისე ჰქაიოს კაცმა.

შაკიკის და საზოგადო თაფის ტკივილის წამალი. ექვს ფინჯან წყალში ორი სტრელის კოვზი დაფხენილი მრავალ ფარფლებიანი ყვითელი ბაია უნდა ჩაყარო და რამდენიმე ატმის ფოთოლიც უნდა შეურთო; მერე სულ ერთიანათ უნდა გამოხარშო მაგრათ დაცმულს ტურტელში, როცა წვენი გაცივდება და ჩადგება, მერე უნდა იხმარო ყოველ დღეს სამი სტრელის კოვზი ამ წვენისა უნდა დალიო დლით, შეუადლისას და საღამოთი, დაწოლის წინათ. ეს წამალი ორი თვის განმავლობაში ნიადაგ უნდა სვა. ამისთანა წამლით არამც თუ თავის ტკივილი გაუტკრება ავთმყოფს, მადსაც მოგვრის, კუჭი გაუსწორდება და ამ წამლის სმაში არც თმობა არის საჭირო.

ფრჩხილის ავთმყოფობის (ანუ წაწერელის) წამლობა. აიღეთ თანასწორი ნაწილი საფუარი, ან თხლევ და აყარო მიწა, ესევე თიხიანი მიწა, აურიეთ კარგათ და ნატკენს ალაგზე უნდა დააღვეთ, თუ აყარო მიწა დაფიცება, მაშინ წამალი უნდა გამოსცვალო, ძველი მოხსნა და ახალი დააღო.

მუცლის ფადართობის აწყვანის წამლობა. ჯერ ერთი კოვზი ზეთუნის ზეთი უნდა დალიო, ოთხი საათი შემდეგ კიდევ ერთი კოვზი დალიე. ზეთუნის ზეთი ანელებს კუჭის ანთებას; თუ ამით არ მოლბა მუცლის სიფაღარათე, მაშინ უნდა მოხარკო ბრინჯი, მერე მოხარშო და წმინდა უნდა სვა ეს წამალი.

ყმაწვილები ფადართობის წამლობა და ანრა საშუალებებით უნდა გაუადვილოთ კბილი



ამ მოკრის თუ ყმაწვილს ხნგრძლივი ფალა-
რათობა არ მოუყვია, ცოტა ხნით ფალარა-
თობა კიდევ მოუხდებდა და არც უნდა შეაწ-
ყვებინო ისე უტყუბ. ფალარათობა მოუტელის
ყმაწვილებს ან კბილების ამოჭრის დროს და
ან კუჭი დაუმძიმდება საქმელებით და იმის
გან მოუყვია: მაგრამ თუ ფალარათობის შეწ-
ყვეტას არა ეშველოს რა, უნდა აიღო მე-
ათხედი გირიანქა ბრინჯი, გამხრმარი კუნე-
ლი ნახევარი გირიანქა, ჩაყარეთ წმინდა კას-
რულში, რომ შიგნით კარგათ იყოს მოკა-
ლული, მოხარშე წყალში და მერე საცერში
გაწურე, უნდა მიუმატო შეპარი (თაფლი ან
სხვა რამე ტკბილი ნივთი კარა) იმდენი,
რომ წვენი დატკბეს და ასეით ყმაწვილს დღე-
ში სამჯერ თითო ან ორი სტოლის კოვზი;
ეს ყმაწვილის სიღიდებე ჰკიდია. ამისთანა წა-
მალი მითია კარგი, რომ ის ცოტ-ცოტათ
შევიდებს მუცლის სიფალარათის და ცუდი
მუდვი არა ექნება რა; თუ კბილის ამოჭრის
დროს ყმაწვილს სიცხე აქვს, ფეხებზე სელიო-
და უნდა დააღო; თუ გაციფებულია, მაშინა
მალიან უხდებდა ეს წამალი. თუ ყმაწვილს
კბილის ამოჭრა ძალიან გაუჭირდა, ფალარა-
თობა მოშეტებულათ აქვს და საქმელს არას
აქვას, უნდა დაკეპო უმი ხორცი წმინდალ
და თითო სტოლის კოვზი უნდა ჩაყალაო
დღეში სამჯერ და მერე აღარა უნდაღა.

მაგდენს აღარას არგებს: წურბლებს მოკი-
დების შემდეგ პირის საქმობაც კარგია. ან-
არა და ცხელს წყალში უნდა ჩააწინო ყმა-
წვილი და როცა ამოიყვან იქიღვან, შემდეგ
კისერზე, მკერდზე, ან ზურგზე უნდა დააქრა
საფუთქაქი წამალი.

როცა დიდი კუჭის ტკივილი
აქვს კაცს. წელის კტეილი მოსდის, სუნ-
თქვასაც უშლის, მთელს ტანში მოსდის მან-
ქვა და ამასთან შეკრულიც არის, ცხეფი
ყაზბათ არის. ჯერ რომაშვის (აფთიაქში იკით-
ხე) წენით უნდა გასწმინდოს კუჭი, მერე ჩაი-
უნდა სეას, გარეგანს წამლებში ყველას სჯო-
ბია სუნთან ზეთებს წასა, რომელიც მალე
შრება, ოპოლდეგოგის წასა (აფთიაქში იკით-
ხე); მდოგვის ფქვილი უნდა მოზილო წყალ-
ში და ტანზე დაიჭრა, ცხელ წყალში ფეხე-
ბი უნდა ჩაყაფინო, მაგრამ წინათვე ცხელ
წყალში უნდა ჩაყარო მდოგვის ფქვილი, ნა-
ცარი და მარილი თითო მუჭი და ბოლოს
მუცელი უნდა შეუქრათ ძალიან მაგრათ.
რომ ეს აეთმყოფობა მეორეთ არ მოუვი-
დეს კაცს, ღინო ბერი არ უნდა სეას და
ძნელი მოსანწლებელი საქმელებიც არ უნდა
სქამოს; ხორცი, კვერცხი თოლბოთ გაკეთე-
ბული და გარეული ან ფრინდლის ან ოთ-
ფები პირუტყვის საზღო ყველას სჯობია.
ამას გარდა თათაის დროზე უნდა დაწვეს
და ადგეს, წმინდა ჰერში ჰშირად უნდა იი-
როს კაცმა. მაგრამ დიდ ჯაფას არ უნდა
ეწიოს, ჯარეში არ ჩაყარდეს და დიდს სასო-
წარკვეთილებას არ მიეცეს; არ გაციფდეს და
სტამაკა ყოველთვის თბილათ იქონიოს;
ამისთვის ყველას უჯობბინება რომ გულის
კოვზს ქვემოთ მუღათ აფარებული ჰქონდეს
კურდლის ტყვი. თუ კუჭის აეთმყოფო-
ბამ დიდხანს არ გაიარა, აეთმყოფი სუსტდებ-
და, ქინჯინის კანი უნდა ააღულო წითელს
ღვინოში და ასე.

ლონიერთ არაოდეს არ უნდა მიძრ-მოი-
ძრეს, არ ჰამოს გამხურეველი საზღო, არც
ღინო და არც ოტკა, არც ცხელი ჩაისეას,
როცა სიცხეა, თაეშიშეელი არ უნდა იაროს
და ჩრდილში იაროს ხოლმე. ცოტათ სისხ-
ლის დენა ცხერიღვან კიდევ მოუხდებდა კაცს
და ამისგამო თუ წავარდეს კაცს სისხლი ცხე-
რიღვან, მაინცა და მაინც უტყუბ არ უნდა
შეაყენოს. მაგრამ თუ სისხლი წყაროსაფით
წყარდა ცხერიღვან და ამისგამო კიდევ და-
სუსტდა, მაშინვე უნდა იხმაროს კაცმა ყო-
ველნაირი ზომა იმის შესაწყვეტათ: პირვე-
ლათ უნდა დალიგინო ლიმონის წენიანი
ცივი წყალი, მეე ტილოს ჩეარი უნდა და-
ლბო ლიმონის წყალში და შეუღვა იმ ნეს-
ტოში, საიდგანაც სისხლი სდის; ძმარ-
ში უნდა ჩაყარო მარილი, იმაში დააღბო
ტილო და თავზე შეპოაღვა; აგრეთვე საფეთ-
ქლებზე, ლოკებზე და გულის კოვზს ქვე-
ოთ. ეს შემოსადებე მუღამ უნდა აყველო,
რომ არ გაზრეს. როცა სისხლის დენა შესწ-
ყდება, ცხერიღვან ისე მალე არ უნდა გა-
მოლო ბამბები ან ჩეარების დასაცობი, აგრე-
თვე უნდა იჯდეს გაუნძრეველად და თავი
ძირს არ უნდა დახაროს.

მეტეკებრის რჩენა ფეხებზე ნა-
ცრინს ცხელს წყალში მეტეკიანი ფეხი უნ-
და ჩაღო და კარგა დიდხანს გააწერო. მერე
უნდა მიადვა ზედ მეტეკებ სუროს ფოთოლი;
როცა მეტეკი კარგა დაღბება, კარგი მჭრელი
ღანით უნდა მოჭრა და მერე რბილი მალა-
მო მოსცხო და შეხვიო.

საქართველო

ხინჯული კობრებს ბანდენციხს.
ამ წინაზღ მე დაწვეწერე ერთი სტატია,
ბლოლოჩინების აღმოჩენებზედ, რომელიც
დაბეჭდილია წარსულის ჩყობ ის წლის ი-
ემბრის თვის სასაფლო გავთობი და თავზედ
აწერია «მახუნი მღვდლები» რომლის დაწე-
რასაც აწ გულითად ენაოფ. მკითხველნი
საკვირვლათ მიიღებენ და იტყვიან ძალასინ
ატანდაო, რომ დაწერა და თუ დაწერა რა

ყელი სანთების წამლო ბაყმა-
წიროლები ს. ეს აეთმყოფობა ძალიან
სამიზოა ახალგაზღობისათვის. ყმაწვილი იმი-
თვან ორ დღეში კვდება. ვინიცობა ეს აეთ-
მყოფობა რომ მოუყიდეს, მაშინვე უნდა წამ-
ლობა. ყმაწვილს თუ სიცხე მიეცა, სუნთქე-
ბის და ქსენავს, მაშინ უნდა იცოდეთ,
რომ იმას ყელის ანთება აქვს. მაშინვე წურ-
ბლები უნდა მოჰკიდო, პირიღვან სასაქმებე-
ლი წამალი, ცხელს წყალში ფეხები უნდა
ჩაყაფინო და სიცხის გამოსატანი, ან ასა-
სუნთქევი მალამოები უნდა დააქრა ტანზე.
თუ ზრბლები აეთმყოფობა რომ დემარტება,
მაშინვე უნდა მოჰკიდო, თორემ მერე კი

სისხლის დენა ცხერიღვან.
ესაც ცხერიღვან ჰშირათ სდის სისხლი, ის



ლათ ნანობსა? მიზეზი ჩემის სინანულისა არის შემდგომი: ღმერთმან ატხანაო ჩენნი წინაპარნი, მისთვის რომელ მათი სიტყვები, ანუ ანდუზები, რომელთაც ჩენამდის მოახსენებდა ირან წმინდანი და ჭეშმარიტნი: ნათქვამია მიმპარავმა ერთი ცოლვა ქნა და დამკარგავმა ათასიო, რა იქნება ამაზედ უქვეშაობისა? ზემოხსენებული სტატია მე დაესწერე და რაც დაესწერე არის ნამდვილი ტყუილმართება და ათასს კი აზრალბენ, რომელთაც მე დავიფიქსამ რამ ჯგჯ არცო წაუკითხნიათ, არამც თუ მათ დაეწერათ და თავში აზრათ მოასლოდნთ და ამა მიზეზისათვის იმა სტატიის საგანს აქვს ცუდი მნიშვნელობა სხვათა მართალთა პირთა ზედა; თუნდა ჩემი დაწერილი არ იყოს და სხვისა იყოს რა არის? თუ მართლათ არ არის აღწერილი დიხ იწყინოს და თუ მართალია რაღათ სწეინს? ის ვმსაგავება სწორეთ იმ ისრატილს, რომელმანც სცა უფალსა ყვამილსაშინა და უფალმან მიუთვა: უკეთუ ვატყაიდი სიტყუეფსა სწამე მისთვის, ხოლო უკეთუ ვიტყაიდი სიმართლესა, რასათვის მცემ? მე კიდე ჩემსას არ დავიშლი, მართალს ვიტყვი და ვისაც რაც უნდოდეს ის თქოს:

ანა შეენას თავგს კატობა, ბუზს ქობობა, თასს ღამობა, ღორს გვირგვინა, ღატეს ბისიანი, ვიძისა სკინატრის სეფთა ზერობა, ბუ ქორს სდეკვლეს, გუ მეფას, გუდღელეს გეფსეის წინამძღოლობა, როგორც მათ ეს არ შეენას. არც პირველი და არც ეს სტატია არ შეეჩება ყოველთა, არამედ მას რომელიც არის: ტანთ მომდგომ, თუთარ წითელი, წვერი მოკლე მოსკეკული, ანდ დიდი და ანდ ზატანა, მრეელ ჭლარ შერეული, გული სავსე დახურული, თუთარი გილი, შვი გული, ზორატუბით სავსე სრული,

სიკეთისთვის უკუ მდგარი, ზორატუბისთვის და სიკეთისთვის უკუ მდგარი, ზორატუბისთვის გინდ რამ მის სიტყვას შეუწდას, თუასო საიქიას გრული მისთვის, რომელ კეთილს არ შოხს, ფაქიას აქვს მტრული.

ს. ს — ვა.

ქ. ტუიფისი.

დროებაში სწერენ სამეგრელოში ქურდობა ბიხ შესხებე შემდეგს ამბავს;

ქურდობის მოსასპობელად, ჩენი უფლის ყველა სოფლებში, ღებერნატორის ბრძანებით, მცხოვრებლებმა ამოარჩიეს ოთხ-ოთხი კაცი, რომელთაც დეპუტატებს ეძახიან; ამათ, თავის მხრით, ყოველს ოც მცხოვრებელზე თითო პირი ამოარჩიეს, რომელთაც სებისთავები» ჰქვიან და რომელთაც მინდობილი აქვთ, რომ იმათს სოფლებში სადმე ქურდობა არ მოხდეს; თუ ქურდობა მოხდა, ვადებულნი ვრიან ქურდი და დაკარგული ნივთი ან საქონელი მოსძებნონ და თუ ვერ მოძებნეს, მაშინ თითონ უნდა უზღონ პატირონს.

სასოფლო სასამართლოები სოფლების გზის ნაპირად ვადმოატანინეს და იქვე აპირებენ ახალი შკოლების აშენებას (რადგან ძველი შკოლები ყველა დაკეტეს მთავრობის ბრძანებით) და სიმინდის შესანახ მაღაზიებს...

* *

ოზურგეთიდან სწორენ უფასური ქალების შკოლის გამართვაზე, ვითომც ამ კეთილი საქმის თავისნობა მიეთაოსთ გრიგოლის გურეელს და ვასილ გამრეკელოვს. იმათ შეადგინეს პროექტი, ამ შკოლის თაობაზედ, თუ რა ნაირად უნდა დაწესდეს; ეს პროექტი წაუკითხეს ოზურგეთის საზოგადოებას. პროექტზე ხელ-მოსაწერი ქალაქი მიაკრეს

და ჩამოუტარეს მცხოვრებლებს ხელის მოსაწერათ, ვინც რამოდენს შესწირავს. დიდი მაღლობის ღირსია თ. დ. გურიელი, რომელმანც თანაურდნო ამ საზოგადო საქმეს და შესწირა მიახველი შკოლისათვის სახლი, სადაც უნდა ისწავლონ ახალგაზდა ქალებმა.

ესლა კი სრული იმედი გვაქვს, რომ ჩენს ქალაქში დაწესდება საფუძელიანათ უფასური შკოლა ახალგაზდა ქალებისთვის.

ს. მ. ა. 1873 წ. ხ ე ღ ო ს-მ-ო წ ე რ ა

დრო-ეობაზე

მიიღება თ ფ ი ლ ი ს შ ი — «დროების» რედაქციის კანტარაში, ხანის ქუჩაზე, ბებუთოვის სახლებში.

ქ უ თ ა ი ს შ ი — გერასიმე კალანდარიშვილთან და ს. მესთან.

უ კ ს ზ ე შ ი «დროების» აგენტთან.

ხელ-მოსაწერი ფასა

გ ა ზ ნ ა ნ ი თ . — გ ა ზ ნ ა ნ ი თ .		გ ა ზ ნ ა ნ ი თ . — გ ა ზ ნ ა ნ ი თ .	
მ.ს.	კ.პ.	მ.ს.	კ.პ.
ერთის წლისა	6	»	5
ნახევრის წლისა	3	»	2
სამის თვისა	1	75	1
ერთის თვისა	»	60	»

ერთის წლისა — 6 „ 5 „
 ნახევრის წლისა — 3 „ 2 50
 სამის თვისა — 1 75 1 50
 ერთის თვისა — „ 60 „ 50

ეთხოვთ აგრეთვე, რომ ხელის-მოწერის ხედრი ფული ვაზეთის დაბარებისათანავე გამოგზავნონ.

ახალ ხელის-მოწერელებს უმორჩილესად ეთხოვთ, თავიანთი ადრესი გარკვევით დაწერილი გამოგვიგზავნონ და აგრეთვე შეგატყობინონ ყოველთვის, რადგანაც საცხოვრებელ ადგილს გამოიცვლიან.

ისეი დება ქალაქში, სოლოლაქში, ხუთასი კვადრატული საყენი მიწა. დაწერილებითი ამბავი მსურველთ შუიძლიანთ შეიტკონ კრივიანოვსკის სახლში. კონსულის ქუჩაზე თფილისში.